



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №139

2016 წლის 21 ივნისი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის №03/06/02 განკარგულებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 20 ივნისის №5176 მომართვის საფუძველზე,

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისთვის ადგილები განისაზღვროს №1 დანართის შესაბამისად.
2. აკრძალულია სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში . ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯემალ სოლოდაშვილი

დანართი № 1

დამტკიცებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2016 წლის 21 ივნისის №139 განკარგულებით.

1. სოფელი ჩარდახი

- 1.1. სოფ. ჩარდახის საბავშვო ბაგა-ბაღის მარცხენა მხარის მიმდებარე ტერიტორია.
- 1.2. სოფ. გოროვნის წყაროს მიმდებარე ტერიტორია.

2. სოფელი წეროვანი

- 2.1. სოფ. წეროვნის აფთიაქის მიმდებარე ტერიტორია.
- 2.2. სოფ. წეროვანში ლტოლვილთა დასახლებაში, მაღაზიის მიმდებარე ტერიტორია.
- 2.3. სოფ. წეროვნის კვლევითი ინსტიტუტის დასახლებაში მინი ფეხბურთის მოედნის მიმდებარე ტერიტორია.

3. სოფელი მუხრანი

- 3.1. სოფ. მუხრანში ბანკი „კონსტანტას“ მიმდებარე ტერიტორია.
- 3.2. სოფ. პატარა ქანდის საბავშვო ბაგა-ბაღის მიმდებარედ არსებული სკვერის ტერიტორია.

4. სოფელი ძველი ქანდა

- 4.1. სოფ. ძველი ქანდის ამბულატორიის მიმდებარე ტერიტორია.

5. სოფელი საგურამო

- 5.1. სოფ. საგურამოს მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია.
- 5.2. სოფ. საგურამოს საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორია.
- 5.3. სოფ. საგურამოში მაღაზია „ელიტის“ მიმდებარე ტერიტორია.
- 5.4. სოფ. წიწამურის მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია.
- 5.5. სოფ. ახალსოფლის სკვერის მიმდებარე ტერიტორია.
- 5.6. სოფ. შანკევანის წყაროს მიმდებარე ტერიტორია.



6. სოფელი წილკანი

- 6.1. სოფ. წილკანში საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია.
- 6.2. სოფ. წილკანში შესასვლელთან მდებარე მაღაზიის მიმდებარე ტერიტორია.
- 6.3. სოფ. ერედის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია.

7. სოფელი ნიჩბისი

- 7.1. სოფ. ქვემო ნიჩბისის ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორია.
- 7.2. ზემო ნიჩბისში მოსაცდელის ადგილის მიმდებარე ტერიტორია.
- 7.3. ახალი ნიჩბისის წყაროს მიმდებარე ტერიტორია.
- 7.4. სოფ. სასხორის მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია.

8. სოფელი ძალისი

- 8.1. სოფ. ძალისის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია.
- 8.2. სოფ. ძალისის ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორია.

9. სოფელი ნატახტარი

- 9.1. სოფ. ნატახტრის მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია.
- 9.2. სოფელ ახალუბნის თავშეყრის ადგილის მიმდებარე ტერიტორია.

10. სოფელი აღდგომლიანთკარი

- 10.1. სოფ. აღდგომლიანთკარის ყოფილი სკოლის ეზოს ტერიტორია.
- 10.2. სოფ. ფრეზეთში, დევნილთა დასახლებაში მე-7 ქუჩის ტერიტორია.
- 10.3. სოფ. უფურეთის წყაროს მიმდებარე ტერიტორია.
- 10.4. სოფ. ახალდაბის წყაროს მიმდებარე ტერიტორია.

11. სოფელი ნავაზი

- 11.1 სოფ. ნავაზის ცენტრში წყაროს მიმდებარე ტერიტორია.



12. სოფელი მისაქციელი

- 12.1. სოფ. მისაქციელის საჯარო სკოლისა და მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია.
- 12.2. სოფ. მისაქციელის ამბულატორიის მიმდებარე ტერიტორია.

13. სოფელი ძეგვი

- 13.1. სოფ. ძეგვის შესასვლელში განთავსებული მაღაზიის მიმდებარე ტერიტორია.
- 13.2. სოფ. ძეგვისამბულატორიის მიმდებარე ტერიტორია.
- 13.3. სოფ. ხეკორძის წყაროს მიმდებარე ტერიტორია.

14. სოფელი ლისი

- 14.1. სოფ. ლისის საბავშვო ბაგა-ბაღების მიმდებარე ტერიტორია.
- 14.2. სოფ. ლისის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია.

15. სოფელი მსხალდიდი

- 15.1. სოფ. მსხალდიდის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია.
- 15.2. სოფ. მუხათწყაროს წყაროს მიმდებარე ტერიტორია.
- 15.3. სოფ. ნაფეტვრებში მაღაზიის მიმდებარე ტერიტორია.
- 15.4. სოფ. ნახშირგორაში ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია.

16. სოფელი გალავანი

- 16.1. სოფ. გალავნის სკვერის მიმდებარე ტერიტორია.
- 16.2. სოფ. წინამძღვრიანთკარის ყოფილი ტექნიკუმის მიმდებარე ტერიტორია.

17. სოფელი ზაქარო

- 17.1. სოფ. ზაქაროს სკვერის მიმდებარე ტერიტორია.

18. სოფელი ნავდარაანთკარი

- 18.1. სოფ. ნავდარაანთკარში ცენტრისა და მაღაზიის მიმდებარე ტერიტორია.
- 18.2. სოფ. კოტორაანთკარის ცენტრის მიმდებარე ტერიტორია.
- 18.3. სოფ. არაშენდას მაღაზიისა და მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია.



19. სოფელი ზიწმენდი

- 19.1. სოფ. ზიწმენდის მიმდებარე ტერიტორია.
- 19.2. სოფ. ჯილაურის მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია.

20. სოფელი ცხვარიჭამია

- 20.1. სოფ. ცხვარიჭამიის ყოფილი სატყეო უბნის შენობის მიმდებარე ტერიტორია.
- 20.2. სოფ. კველიანში მაღაზიის მიმდებარე ტერიტორია.
- 20.3. სოფ. თეზამში ყოფილი სკოლის მიმდებარე ტერიტორია.

21. სოფელი ქსოვრისი

- 21.1. სოფ. ქსოვრისის ამბულატორიის შენობის მიმდებარე ტერიტორია.
- 21.2. სოფ. ვარდისუბნის ჭაბურღილის მიმდებარე ტერიტორია.

22. სოფელი ვაზიანი

- 22.1. სოფ. ვაზიანში ცენტრის მიმდებარე ტერიტორია.

23. სოფელი ქსანი

- 23.1. სოფ. ქსანში რკ. სადგურის მიმდებარე ტერიტორია.
- 23.2. სოფ. ქსანში ცენტრში სოფლის მაღაზიის მიმდებარე ტერიტორია.

24. სოფელი ციხისძირი

- 24.1. სოფ. ციხისძირში საჯარო სკოლის მარჯვენა მხარეს მიმდებარე ტერიტორია.

25. მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებულ პუნქტებში განთავსებულ ელექტრო ან სხვა დანიშნულების ბომბები.

26. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში, გარდა ამავე განკარგულებით აკრძალული შენობა-ნაგებობებისა.

